№ 863 შაბათი, 10 ივლისი 1898-1899 შაბათი, 10 ივლისი. № 863

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურთ ქარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის ღისაკვე-
თად მიმართავენ რედაქციას დილის
10-8 საათამდე და საღამოს 5—
ან „წ.-კ. საზ.“ წიგნის მაღაზიის.

ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

პ. რის-პირ მოლაპარაკება რედაქ
ტორთან შეიძლება ყოველ დღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ღირება 3 მან.

КАРТУЛИ ДРАМАТИУЛ САЗОГ. ГАМГЕОБА

## ქართული დრამატიულ საზოგ. გამგეობა

1 — 15 ენკენისთვემდე გამართავს გამოსაცდელ წარმო-
დგენებს იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ქართულ სცენაზე მო-
ღვაწეობა, ამისათვის საზ. გამგეობა სთხოვს მათ განაცხადონ თა-
ვის სურვილი 1 ენკენისთვემდე და შემდეგ გამოცდისა გამგეო-
ბის, არტისტების და სცენასთან დაახლოვებულ პირების თანდას-
წრებით, მოწონებულ გამგეობა მოიწვევს თავის დასში დამდეგი სე-
ზონისათვის. (10—3)

!!მიაქციეთ ყურადღება!!

## ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

ჟოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

იმყოფება ჩაი პირველი მოკრეფისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მი-
იღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საპირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია
საჩუქრებისა და ნიშანთებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, ილტაში, ნიკოლაევ-
ში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფი-
ლისში.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—50)

[...]ბათს, 10 მკათათვეს, საღამოს 8
საათზე ტფილისის სათავად-აზნა
ურო ბანკის დარბაზში დანიშნუ-
ლია საგანგებო საზოგადო კრება,
რომელთა სესხებ-მიმცემი ამხანა-
გობის

## „შუამავლისა“

ესკრება გაგრძელებაა, 20 თი
თვეს შემდგარი კრებისა და ამისათ-
ვის [...]ზნიერი იქმნება რამდენიც
[...] დაესწრება მას წევრნი [...]

წევრთ ამხანაგობისა არ გაეგზავნე
ბათ ცალკე მოწვევის ბარათები.

საავადმყოფო და ამბულატორია

## ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში.

ამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი [...]
მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. გ. თო-
ფურია. საქირურგო თვალების
ავადმყოფობას და სიფილისს ფ.
კ. ზერაბი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი,
საქიმიო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისათვის.
სამკურნალო დირექტორი ს. გ. თო-
ფურია
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** ახალციხე. ახალციხეს მცხოვ
რებლები სამი ვერსის მანძილზე
დაუხვდნენ მემკვიდრე ცესარევი-
ჩის კუბოს, აქვე იყვნენ დარაზ-
მული ჯარები და სამხედრო მუ-
სიკა შესაფერ ხმას უკრავდა. მას-
წავლებლებმა და მოწაფეებმა კუ-
ბო შეამკეს ლითონის გვირგვინით.
არხიმანდრიტი პაისიმ სამღვდე-
ლოებითურთ გარდაიხადა ლიტია.
ქალაქის მოურავი პროცესიას
წინ მიუძღოდა და ექვსი ვერსის
მანძილზე გზას ყვავილებით უფენდა.

პროცესიას მიაცილებდა ადგი-
ლობრივი მემამულე ფეიზულაბეგ
კობლიანსკი, რომელიც მეექვსე
ვერსზე გულის ფრიალის გამო
გარდაიცვალა.

ბორჯომი. აწყურში გარდახდილ
იქმნა ლიტია, ყველგან ხალხი
უხვდებოდა პროცესიას. ლიკანში
პროცესიას შეხვდა ტფილისის ამქ-
რობა თავის ბაირაღებით და ური-
ცხვი ხალხი. დიდი მთავრის მიხეილ
ნიკოლოოზის ძის დიდ სასახლეს-
თან გარაზმული იყვნენ ადგილობ-
რივი სასწავლებლის მოწაფენი.
ვაგზალზე შეკრებილი იყო ღენერ-
ლობა, მაღალ ხარისხის მოხელენი
და თანამდებობის პირნი, ქალები
და მანდილოსნები, უცხოეთის
ელჩნი და სხვა რჯულის სამღვდე-
ლოება. საღამოს 8 საათზე პრო-
ცესია უკვე ხიდზე იყო. კუბო
ტახტრევანიდან გადმოიღეს სასახ-
ლის გრენადერებმა ლიტიის შემ-
[...]დეგ, რომელიც გარდაიხადა საქარ-
თველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ
აქედან კუბო გადატანილ იქმნა
ვაგზალში, სადაც გარდახდილ იქ-
მნა პანაშვიდი. მთელი ვაგზალი
შავ ძაძებში იყო შემოსილი.

პანაშვიდის შემდეგ კუბო გადა-
იტანეს ვაგონ-ეკკლესიაში და აქ
გვირგვინებით იქმნა შემკული კუ-
ბო დიდის მთავრის ნიკოლოოზ
მიხეილის ძისაგან, ტფილისის და
ქუთაისის თავად-აზნაურთაგან, ბო-
რჯომის მკვიდრთაგან, ამიერ-კავ-
კასიის რკინის გზისაგან, ინჟენე-
რებისაგან, ქუთათურ ებრაელები-
საგან და „კავკაზის“ რედაქციი-
საგან. სამგლოვიარო მატარებელი
ბორჯომიდან გავიდა ბათუმისაკენ
საღამოს 9 საათზე.

ბათუმი. დღეს დილის 8 საათ-
ზე ნავთსადგურში გაჩერდა ჯავ-
ნიანი გემი „გიორგი ძლევამოსი-
ლი“, რომელზედაც ბრძანდებოდ-
ნენ დედოფალი დედა მარიამ თე-
ოდორეს ასული, დიდნი მთავარ-
ნი მიხეილ ალექსანდრეს ძე, ღე-
ნერალ-ადმირალი ალექსი ალექ-
სანდრეს ძე, ალექსანდრე მიხეილის
ძე, დიდნი მთავრინანი ქსენი
ალექსანდრეს ასული და ოლღა
ალექსანდრეს ასული. ამავე დროს
მოახლოვდა ვაგზლის სამგლოვია-
რო მატარებელი, რომელშიაც
აღსრულებული მემკვიდრე ცესა-
რევიჩი ესვენა. ყველა გემებმა ბაი-
რაღები ძირს დაუშვეს.

მატარებელი მოვიდა დილის 8
საათზე. ყოვლად სამღვდელო ეპის
კოპოზმა ალექსანდრემ ვაგონ-ეკ-
ლესიაში გარდაიხადა ლიტია, მერე
კუბო გადაიტანეს ნავთსადგურზე,
სადაც დაუხვდნენ ქუთაისის სამ-
ხედრო გუბერნატორი გერშელ-
მანი, ბათომის კომენდანტი სოკო-
ლოვსკი, მთავ.-რ-მმართებლის კან
ცელარიის დირექტორი სანდრიგა-
ილო, შტაბის უფროსი ბოლიავსკი,
ადგილობრივი მმართველობა და
დეპუტაციები ბათომიდგან, ფოთი-
დან, ქუთაისიდგან, ოზურგეთიდგან
ელჩები უცხო ქვეყნისა და მრავა-
ლი ხალხი. კუბო ნავთ-სადგურ-
დან გემზე გადიტანეს, რომელიც
სამგლოვიაროდ იყო მოწყობილი.
აქ ყოვლად სამღვდელო ალექ-
სანდრემ სამღვდელოებითურთ
პანაშვიდი გადიხადა დიდის მთავ-
რის ნიკოლოოზ მიხეილის ძეს,
[...]

ნის და გუბერნატორის და სხვა თანამდებობის პირთა თანადასწრებით. აქვე კობო შემკული იყო მრავალის გვირგვინებით. დილის 9 საათზედ დ 15 წუთზე გემი „გიორგი ძლევამოსილიდან“ ცოტათი ალმართეს დედოფალი იმპერატრიცის დროშა. ამ დროს იგრიალა ზარბაზნებმა ყველა გემებიდან და ბათომის ბატარეიებიდან. ბარჟა მიუახლოვდა ჯავშნიან გემს „გიორგი ძლევამოსილს“ და კუბო გადაიტანეს გემზე, სადაც დედოფალი ელოდა. ამ დროს მუსიკის ხმა შეუერთდა ხალხთა ტირილს. მეტად შემზარავი სანახავი იყო ეს სურათი. გემზე კარის სამღვდელოებამ გარდიხადა პანაშვიდი. სწორედ $10^1/_4$ საათზედ ჯავშნიანი გემი „გიორგი ძლევამოსილი“ დაიძრა ნავთ-სადგურიდან. ყველა გემებიდან და ბატარეიდან დასცალეს ზარბაზნები.

მთავარ-მმართებელი თავ. გოლიცინი გაემგზავრა ნოვოროსიისკში ტრანსპორტის გემზე „პრუტით“. ამ დღეს ყველა დუქნები ბათომში დაკეტილი იყო.

ანნა დასოევისა ინახულა დედოფალ იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა.

*** **აბასთუმნიდან დაბრუნდნენ** ტფილისში ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე.

დაბრუნდა აგრეთვე გუბერნატორი პოლკოვნიკი სვეჩინი.

დღეს დაბრუნდება მთავარ-მმართებლის კანცელარიის დირექტორი ბ-ნი სანდრიგაილო.

*** **მთავარ-მართებლის დაბრუნება.** მთავარ-მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს ნოვოროსისკიდან ამ დღეებში მოელიან.

*** **მუხრან-ბატონის და შლიუჩევსკის დავა** თანდათან სხვა ფერს ღებულობს. გუშინ-წინ სასამართლოს გადაუწყვეტია, რომ მუხრანბატონის მამული მადათოვის კუნძულზე შეკრულ იქმნას სანამ საქმე არ გადაწყდებაო.

*** **ქართველ კათოლიკეთა ხელნაწერი უცხო ლოცვის წიგნი.** ამ დღეებში, ტფილისში, აღმოჩნდა ერთი ძველი ხელთნაწერი ლოცვის წიგნი, რომელიც დიდათ განსხვავდება 1865 წ. ტფილისში გამოცემულს ლოცვის წიგნთან, 1877 წ. სტამბოლში დაბეჭდილთან და 1834 წ. გამოცემულთანა, ეს ხელთნაწერი სულ სხვა უცხო ხელთნაწერია, გადაწერილია 1837 ტფილისში. ენა უფრო მარტივია და მასთან სუფთა, ლოცვები ენის სიფაქიზით ბრწყინვალეთ ნარნარებენ. ეტყობა, მცოდნე ღვთის მეტყველის მოძღვრისაგან უნდა იქმნეს ლათინურიდგან ქართულს ენაზე ნათარგმნი. ამ ხელთნაწერის ცნობას ჩვენ მიტომ ვაცხადებთ, რადგანაც ქართველ კათოლიკებში საყოველ-დღეო ლოცვის წიგნები ერთობ მცირეა და რაც არსებობს იმაებსაც ენას უწუნებენ. ეს ხელთ ნაწერი მალე წარედგინებათ კათოლიკეთა მცოდნე მოძღვრებს განსახილველად.

*** **სომეხთა ქალთა ახალი საზოგადოება სპარსეთში.** სომხურ გაზეთების სიტყვით იქ შემდგარა სომეხთა ქალთა ახალი საზოგადოება, ამ საზოგადოებას მიზნათ აქვს, რომ სპარსეთის სომეხთა ქალების განათლების საქმეს ხელი შეუწყოს

*** **რკინის გზით მგზავრთა საყურადღებო.** გამგეობა ამიერ-კავკასიის რკინის გზისა აცხადებს საყოველთაოდ, რომ, რადგანაც მატარებლები № 1 და 2 სავსეა ხოლმე შორეულ სადგურებზედ მიმავალ მგზავრებით, ამიტომ ამა წლის 15 ივლისიდგან ახალ განკარგულებამდე ამ მატარებლებზედ მგზავრობა და აგრეთვე ბარგის გაგზავნა მახლობელ სადგურამდე, დაწყებული ავჭალის სადგურიდგან გორამდე მოისპობა.

ყველა მგზავრები, რომელნიც ტფილისიდგან მახლობელ სადგურებში მიდიან გორამდე. უნდა წავიდნენ მატარებლებით №№ 7 და 8, რომელნიც იმ აზრით არის შემოღებული, რომ მატარებლები №№ 1 და 2 მეტად არ გაივსოს ხოლმე ხალხით.

*** **უცნაური ხუმრობა და თავხედობა.** სოლოლაკში, არლოვის ქუჩის ბოლოზე ყოველ საღამოს 8 საათიდან 10 საათამდე ქვებს ისვრიან და სახლის ჭერებზე კრამიტს ანტვრევენ; შიშით გარეთ ვერავინ გამოსულა. არა თუ ღამე, დღეც რომ ორი საათი იყვიროს კაცმა, ერთი პოლიციელიც არ მოგეშველებათ, ქუჩა ცარიელია ხოლმე წესიერების დამცველებისაგან, რათა ეს სამასხარო და საშიშო საქმე კაცს ააცდინონ თავიდან.

*** **ქუთაისი. ბანკის დამფასებლების არჩევნები.** 7 ივლისს ბ. კალისტრატე ჩიკვაიძის ბანკში შეიკრიბა გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი ბანკის დარბაზში. საგანი სხდომისა იყო არჩევნები დამფასებელთა. მთხოვნელნი დამფასებლის თანამდებობისა, იყვნენ 69 კაცი. რასაკვირველია, ყველას ამათ ცალ-ცალკე შეპირებული ჰქონდა დამფასებლის ალაგი, „მე ჩამიგდეთ და თქვენც ჩაგიგდებთ“! ალსარჩევი კი მხოლოდ ოთხი დამფასებელი იყო. რასაკ-
ვირველია, აირჩიეს ის, ვიზედა
კალისტრატემ მიუთითა, რა
გამგეობის და ზედამხედველ
მიტეტის წევრნი კალისტრ
თავის ყმებისაგან შეადგენა
ჩეულ იქმნენ ბ. ბ. ვ. ნან
ლის, დ. წულუკიძის და
რაძის მაგიერ: ი. ლ.
(ხონელი), კ. დგებუაძ
ლაც მეფისოვი! ძველებთ
ჩა დამფასებლობა მხოლ

## ქართული რეპერტუარის გაუმჯობესობის შესახებ

მომავალ სეზონისათვის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას განუზრახავს, სხვათა შორის, რეპერტუარის განახლება და გაუმჯობესობაც. სწორედ, რომ კეთილი აზრი მოსვლია და იმედია, ყოველი ქართული თეატრის გულშემატკივარი სიამოვნებით მიეგებება ამ განზრახვას და შეძლებისა დაგვარად დაეხმარება კიდეც ამ საქმეში. დროც არის ვიზრუნოთ ქართულის რეპერტუარის შესახებ, თორემ რასა ჰგავს, რომ მთელი სეზონები ისე ჩაივლიან ხოლმე, რომ ერთხელაც ვერ ნახავს ქართველი საზოგადოება თავის ცხოვრებიდან აღებულ პიესას და გადმოთარგმნილ და გადმოკეთებულს, უფრო გადმოხინჯებულს ფარსებითა და მელოდრამებით იკვებება? იტყვიან, რა ვქნათ თუ დრამატურღები არა გვყავნან, ჩვენ ხომ ვერ შევქმნითო? დრამატურღის შექმნა, რასაკვირველია, ჩვენ ხელთ არ არის, ხოლო იმ ორიოდე მწერლის, რომელთაც მცირედი ნიჭი მაინც გამოუჩენიათ დრამატიულ თხზულებების წერაში, დახმარება და გაუმჯობესება რომ ჩვენ ხელთ არის, ეს კი ცხადია, თუ ვიზრუნებთ ამაზე. ხშირად მომხდარა ჩვენში, რომ ახალგაზდა მწერალს დაუწერია რამოდენიმე პიესა, იმ იმედით, რომ გამოქვეყნდება, სცენაზე დაიდგმება, პირუთვნელი კრიტიკა გაარჩევს, ღირსებებს დააფასებს, ნაკლულევანებას მიჩვენებს და შემდეგ კიდევ უკეთეს პიესას დავწერო, მაგრამ რის სცენაზე დადგმა, რა სცენაზე დადგმა? თუ რომელიმე ჟურნალ-გაზეთში უშოვია ადგილი ისიც კარგი, რომ დაბეჭდილი მაინც ნახოს თავისი ნაშრომი! კრიტიკა? თქვენგან არ მიკვირს! აბა ვისა სცალიან ჩვენში ამისთვის? ავტორსაც უცდია, უცდია და, როცა უნახავს, რომ კრინტსაც არავინ სძრავს, გული გასტეხია და მიუნებებია წერისათვის თავი. ამ რამოდენიმე წლის წინად მაგალითად, „ივერიაში“ დაიბეჭდა რამოდენიმე ორიგინალური ჩვენის თანამედროვე ცხოვრებიდან აღებული პიესა, ახალგაზდა ავტორის მ. ბენაშვილისა. რასაკვირველია, უნაკლულონი არ იქმნებოდნენ ის პიესები, მაგრამ აშკარაა, რომ ღირსებებიც არ აკლდათ, ასე რომ შეიძლებოდა, პატრონი რომ ყოფილიყო, ნაკლულევანებები თავიდან აეცილებინა ავტორს, ღირსებანი კიდევ უფრო განევითარებინა და თუ გამოჩენილი დრამატურღი არა, გვარიანი მაინც დამდგარიყო და ესეც დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა ჩვენთვის. მაგრამ ვინ მიაქცია ყურადღება ამ პიესას და მის ავტორს? არავინ და უკანასკნელსაც შემდეგ აღარა გამოუქვეყნებია-რა. ეგებ სრულიადაც დაანება წერას თავი, რაც დიდ დასაკლისად უნდა ჩაითვალოს საზოგადოდ ჩვენს სიტყვა-კაზმულ და განსაკუთრებით სათეატრო მწერლობისათვის. ყველას ახსოვს აგრეთვე ალბად გულის წყრომით სავსე წერილი მეორე ახალგაზდა ავტორის ბ. გულისაშვილისა თავის პიესების გამო. სხვისა არ ვიცი და მე სწორედ სამართლიანად მიმაჩნია მაშინდელი ავტორის უკმაყოფილება დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მიმართ. ვერაფერი თავის სიმართლე იყო, მართალი უნდა მოგახსენოთ, ბ. ი. მაჭავარიანის პასუხი ბ. გულისაშვილის ბრალდებაზე; პირიქით თავის გამტყუნება უფრო იყო და უდიდესი
ბრალის დადება, როგორ
საზ. გამგეობაზე, ისე ჩვე
ტისტებზე. შეიძლება კარგ
სებია თქვენი პიესები, მაგრამ
ტისტებს არ უნდათ მათი წარმ
გენა და ჩვენ რა ვქნათო? ამბო
და ბ. მაჭავარიანი (სამწუხარო
ხელთ არა მაქვს „ივერიის“ №
რომ სიტყვა-სიტყვით მოვიყვან
ბ. მაჭავარიანის პასუხი). თუ გ
ბავთ, რომ თქვენი პიესები წ
მოდგენილ იქმნან, მოიწვიეთ
ნი არტისტები, კარგათ გაუმასპ
ლდით, მოიგეთ როგორმე
გული და წარმოადგენენო! მ
თქვენ რაღა მოხელენი ბრძა
ბით გამგეობის წევრნო? ვსთქ
არ შეგიძლიანთ არტისტებს
ვალოთ რომელიმე პიესის წ
მოდგენა, თუმცა, თუ კი პი
წარმოდგენის ღირსათა სცნო
როგორ უნდა იუარონ არტის
მა მისი წარმოდგენა, არ მეს
პიესის გარჩევა და ღირსეულ
დაფასება და ავტორის ასე თუ
ზნეობრივად მაინც დაჯილდოვ
ხომ თქვენ ხელთ არის, ამას მა
რატომ არა შვრებით?..

დუტუ-მეგრელ

(დასასრული იქნება)

დათ გამოცდილს, განვითარებულს, განათლებულს ნ. გუგუშვილს. არჩევნების გათავებისას დანარჩენი დამფასებლობის გამგებელნი სულ 66 კაცი—ერთბაშათ მიადგნენ კალისტრატეს.

— ეს რა გვიყავი, აკი შეგვპირდი აგირჩევთო, მოგვიხმარიე და ახლა კი ჰანჭური ამოგვკარიო, ეუბნებოდნენ გაცხარებულნი.

— რა ვქნა, შვილები ნუ დამეხოცება, ყველას თეთრში ჩაგიყარეთ, მაგრამ ჩემი ერთი კენჭით ვერაფერი გავაწყვეო; უპასუხებს კალისტრატე და ფურცუხ-ფურცუხით გამოექცევა პირ დაწულ და მოღუშულ კანდიდატებს.

დ. ვერმიცანაძე

*** **ს. საგარეჯო**. არშაყა იოსკა. ს. საგარეჯოში სცხოვრობს მეტად შესანიშნავი და ყველასგან ცნობილი იოსკა. ალერსიანი სახელი პატარაობითვე დაერქვა, და ეხლაც ესე ალერსიანად იხსენიებენ, ნათლობის სახელი იოსებ გახლავთ და გვარად მეზვრიშვილი. უმაღლესი სასწავლებელი არა აქვს გათავებული, მაგრამ უმაღლესი აზრებით კი არის შებოჭილი; არც პატრია არც არტისტი, მაგრამ შეხედულება კი ერთსაც და მეორესაც მოგაგონებს. ტანად პატარაა, და მისი თვალების გამომეტყველება მოგაგონებთ ნაპოლეონს. დიახ, თუ ნაპოლეონი ოდესმე ბრძანებლობდა მთელს საფრანგეთს და თითქმის ევროპასაც, არც იოსკა ჩამოუვარდა. ეს პაწია იოსკაც ბრძანებლობდა და ბატონობდა მთელს საგარეჯოს, რომელიც ათას ხუთასი კომლიდგან შესდგება ე. ი. გახლდათ მამასახლისად, გულ შემატკივრობა გაუწია სოფელს ასე წარმოიდგინეთ, რომ ფარნებიც კი დაუნთო ქუჩებში—მართალია, დიდხანს კი არ გასტანა მაგრამ ხომ იყო. ხორველობის დროს მე თვითონ ვნახე, რომ კარბოლის ხიმფავის შესასხურებელი სულ ჯიბით დაჰქონდა. საგარეჯო დიდი შემოსავლიანი სოფელია და ეს შემოსავალი თითქმის გარეგან შეხედულობით გააათკეცა. ერთი სიტყვით ყოველის ფრით შემკული იოსკა აღარ მოიწონეს და მამასახლისის ჯაჭვი აჰყარეს. რათა, რისთვის? არ ვიცით, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ მამაპაპეული არა დარჩა-რა და ეხლა კი სახლ-კარით ვენახ-ზვრებით და წისქვილებით გახლავს შემკობილი ჩვენი იოსკა. ამ ჩვენ იოსკას საუბედუროდ დონჟუანის ხასიათიც ჰქონდა და ეხლაც არ ივიწყებს, ნათქვამია კოკა წყალზედ გატყდებაო და სწორედ ასე მოუვიდა ჩვენ არშიყ იოსკას. ამას წინად ქალაქიდამ ფურგონით მობძანდებოდა იოსკა, სხვათა მგზავრებს შორის ორი მანდილოსანიც ერივნენ. ერთი ახალ-გაზდა თვალ ჩინიანი იყო და მეორე კი ცოტათი ხანში შესული, პატიოსანი ოჯახიდგან. ჩვენს იოსკას თვალები აუპრწყინდა, იმდენი იძრომილა, რომ სწორეთ გვერდზედ მოუჯდა ამ ახალ-გაზდას, მთელი ნახევარ გზა ამ საწყალ მანდილოსანმა ურიის ტანჯვა აიტანა მისი საქციელით, ვერც ვერაფერი ეთქვა, რადგან სცხვენოდა მგზავრებისა და ვეღარც მოითმინა საცოდავმა და წასჩურჩულა მეორე დედაკაცს. ერთი გინებ-დავიდარაბით აიბძანეს იოსკა და იქითკენ დასვეს. არც იქიდამ მოუსვენა, მაგრამ რას გააწყობდნენ საცოდავი მანდილოსნები, მხოლოდ იმითი ნუგეშობდნენ, რომ სოფელს თან და თან უახლოვდებოდნენ. სოფელს როგორც მიატანეს, გადმოხტა ჩვენი არშიყი იოსკა და თავს უშველა... მაგრამ როდემდინ, ამ მანდილოსანთ ჭყონლიათ ერთი ჩათუქესანი, მარჯვე, წარმოსადეგი ყმაწვილი ბიჭი, ასე რომ იმის შიშით მაღლა ფრინველს ვერ გაუვლია და ძირს ჭიანჭველას. მისულან გულ-გახეთქილი მანდილოსნები სახლში და შეუჩივლიათ ამ თავიანთ ნათესავისთვის, ისე აღელვებულა ეს ჯეელი ბიჭი, რომ მაშინათვე გამოქცეულა შურის საძიებლად, მაგრამ ვერსად ვერ უპოვია. მეორე დღეს გაუგია, რომ იოსკა თავის ცოლშვილით ვენახში ჩაბძანებულა. ჩასაფრებია ჩვენი ჩათუქესანი ორღობეში, არ გაუვლია ერთ საათს ამოიარა იოსკამ შტვენით და ღიღინით; ამ დროს შეითამაშა კეტმა ჰაერში და ჩვენი დონჟუანი უგრძნობლად დაეცა, როგორც მეორეც უნდა დაეყოლებინა, შეუშალა ხელი გაქანებულ ხარებ შებმულ ურემმა. რომელმაც ზედ შუაზედ გადურბინა მოქნეულ კეტს. მაინც კიდევ არ მოეშვა, მესამედ მოუქნია დასარტყმელად, მაგრამ იოსკას ცოლის ნასროლმა ქვამ კეტი ხელიდამ დააგდებინა, ასე რომ მკლავი ძლივს-ღა აიღო მაღლა. საკვირველია, რომ იოსკას ყველგან განგება შველის სოფლის ანგარიშის მოთხოვნაში, სიკვდილში, ყველგან რაიმე მიზეზი ესარჩლება. მეორედ და მესამედ მოქნეული კეტი რომ მოხვედრიყო, იქვე სულს გააფრთხობინებდა. აიყვანეს ცოცხალ-მკვდარი იოსკა და საკაცით მიიტანეს შინ. მოიწვიეს ექიმი და ორ-ორი ფერშალი შეუკრეს თავი, მაგრამ ორი დღე უგრძნობლათ იწვა და მესამე დღეს ძლივს დაილუღლუღა. მორჩენის იმედი ექიმს საეჭვოთ აქვს. ეს მოხდა 4 მკათათვეს ამა წელს. ჯერ ჯერობით ეს იყოს იოსკაზედ და როდესაც განთავისუფლდება ავადმყოფობისგან მაშინ უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ.

ივანე მჭედლიშვილი

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**ნოვოროსიისკი.** მისი უდიდებულესობა დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ბათუმში წაბრძანდა გემით „გიორგი პობედონოსეცი“.

**პარიზი.** საფრანგეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ დონ-კარლოსის წარმომადგენელი—სერრალბო საფრანგეთიდგან გავიდეს.

**ნოვოროსიისკი.** მოვიდა ამალის მატარებელი. სამგლოვიარო მატარებელი აქ ელის ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გვამს.

**მოსკოვი.** მოსკოვის თავად აზნაურობამ დაადგინა გვირგვინით შეამკოს მემკვიდრე ცესარევიჩის კუბო და დეპუტაცია ვაგზავნოს დასაფლავებაზედ დსასწრებლად.

**ნოვოროსიისკი.** „გიორგი პობედ.“-ი ჩერნოგორსკის ესკადრის სხვა გემებთან ერთად აქ მოვიდა. აქედგან ესკადრა მის უდიდებულესობას დედოფალს იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს ბათუმამდის მიაცილებს.

**ნოვოროსიისკი.** დღეს დილით მობრძანდა დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული. ნავთსადგურის ნაპირზედ ხალხი შეიკრიბა. სრული წესიერება სუფევდა. ყველგან სამგლოვიარო დროშებია ამართული. 9 საათზედ ნავთსადგურთან გამართულ ფარდულში შეიკრიბნენ ადგილობრივი მოხელენი, გუბერნატორის ტიხანოვის თაოსნობით, საზღვაო მთავრობა. იქვე იდგნენ შავის ზღვის ესკადრის ხომალდები. დილის 10 საათზედ საიმპერატორო მატარებელი გამოჩნდა, რომელსაც გზაზედ გზათა მინისტრი მიეგება. მატარებელს უფროსობდა საიმპერატორო მატარებელთა უფროსი და კამენდანტი თავადი თუმანოვი. მატარებლის გაჩერებისას ფარდულში გადმობრძანდნენ დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, დიდნი მთავარნი მიხეილ ალექსანდრეს ძე, ალექსი ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე და დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასული. შავის ზღვის ფლოტის უფროსისაგან, მისი უდიდებულესობა დიდის მთავრებისა და მთავრინებითურთ ოროთქლ-მავალ კატერზედ აბრძანდა. დილის 9 საათსა და 15 წუთზედ კატერი გემის „გიორგი პობედონოსცევისაკენ“ გაემართა. გემის ზღვაოსანნი „ურას“ ძახილით მიეგებნენ. დილის 11 საათზედ „გიორგი პობედ.“ ბათუმისაკენ გაუდგა გზას. ზღვაში მას შეუერთდნენ სხვა სამხედრო გემები, რომელნიც ბათუმამდე მიაცილებენ. ბათუმის ნავთ-სადგურში მხოლოდ „გიორგი პობ.“ შევა. როდესაც გემი მემკვიდრე ცესარევიჩის გვამითურთ უკან დაბრუნდება, ფლოტის ყველა სხვა გემები გამოაცილებენ.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: „ვბრძანებთ უსაყვარლესი ძმა ჩვენი, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, რომელსაც, სახელმწიფო ძირითად კანონების ძალით, ეკუთვნის, ვიდრე უფალი ღმერთი არა გვაკურთხებს ვაჟიშვილის დაბადებით, უმახლობელესი უფლება ჩვენს შემდეგ ტახტის მემკვიდრეობისა,—იხსენიებოდეს ყოველს შემთხვევის დროს ხელმწიფე მემკვიდრედ და დიდ მთავრად“. ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: „ნიკოლოზი“.

საერო განათლების მინისტრის საყოველთაო მიწერილობა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა მიმართ: „რადგანაც მეტად ავსებულია ზოგიერთი უნივერსიტეტები იმ მიზეზით, რომ ამ უნივერსიტეტებს ეტანებიან სხვა სამოსწავლო ოლქების გიმნაზიებში სწავლა-დამთავრებულნი, სამერმისოდ ვურჩევთ ამა მიმდინარე წელს სწავლა დამთავრებულთა და მოწმობა მიღებულთ თავისის ოლქის უნივერსიტეტში შეეცადნენ შესვლას; ამასთანავე ვაფრთხილებთ, რომ შეიძლება სხვა ოლქების უნივერსიტეტებში ადგილი ვერ იპოვონ. იმათ კი, რომელთაც ისეთს ოლქებში დაუმთავრებიათ სწავლა, რომლებშიაც უნივერსიტეტები არ არის, ვურჩევთ წავიდნენ: ვილნოს ოლქში სწავლა დამთავრებულნი —იურიევისა, მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში; კავკასიის ოლქისანი—ხარკოვისა, ნოვოროსსიისკისა (ოდესისა) და წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტებში; ციმბირის გიმნაზიებიდგან: თუ იურიდიულსა და სამკურნალო ფაკულტეტებზედ უნდათ შესვლა,—განსაკუთრებით ტომსკის უნივერსიტეტში, ხოლო თუ სხვა ფაკულტეტებზედ—ყაზანის უნივერსიტეტში.

**ბერხტესგადენი.** იმპერატრიცამ ბართლომეუ მთებზედ სეირ-

ნობის დროს ფეხი იღრძო. ეს უბედური შემთხვევა მოხდა გუშინ ტყის ბილიკზედ ეთსკაპელესა და ბართლომეს შუა. ბილიკზედ სველი ფიცარი იდო, იმპერატრიცას ზედ ფეხი გაუსხლტა და წაიქცა. თუმცა საშინლად სტკიოდა ფეხი, მისმა უდიდებულესობამ განაგრძო სიარული, მაგრამ ბოლოს იძულებულ იქმნენ სკამზედ დაესვათ და ნავამდე ხელით მიეტანათ. შემდეგ მისი უდიდებულესობა ეტლით ბერხტესგადენში წაბრძანდა. ღამე მშვიდობიანად გაატარა ფეხის შეხვევის შემდეგ ტკივილი დაუყუჩდა. ხანგრძლივ მშვიდობიანად ყოფნა დასჭირდება.

**ვენა.** აქ ჩამოვიდა ვარშავიდგან დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

## ყურმოკრული საუბარი

— ნამდვილ დორებს რომ იტყვიან სწორედ ჩვენა ვართ!

— თუ ძმა ხარ მრავლობითი რიცხვში ნუ ამბობ.

მაშ მრავლობითი რიცხვი თუ არ გინდა, ნამდვილ დორს რომ იტყვიან სწორედ შენა ხარ!

* *

— თქვენზე ქვრივი ქეთო ამბობს, რომ სადღაც დაიკარგაო!

— ამას იმიტომ ამბობს, რომ გაჯავრებულია ჩემზე!

— მერე რათა?

— რათა და იმათ, რომ მართლა დამკარგა სამუდამოდ და ვერც როდისმე მიპოვის, მიტომ მეძახის დაკარგულსაცს.

## შემოწირულება.

ბატონო რედაქტორო, გთხოვთ უმორჩილესად, რომ ჩემგან მოგროვილი ფული ქართველ მოსამსახურეთა ავჭალაბულაში ოცდაცამეტი მანეთი და ათი შაური მცხეთის ტაძრის განახლებისთვის გადასცეთ მცხეთის ტაძრის კომიტეტსა და თან ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ შემომწირველთა სიას, რომლებმაც კეთილ ისურვეს და მხიარულად მიეგებნენ შეძლებისა დაგვარად ჩვენი ძვირფასი სვეტი ცხოვლის ტაძრის განახლებას.

შემომწირველთა გვარი და სახელები:

1) ნ. ალ. შარაშენიძემ 1 მ 50 კ.
2) კ. მარ. ჯიბუტმა „ „ 50 „
3) არჩილ თვართვაძემ „ „ 30 „
4) ივლიანე ებანაიძემ „ „ 50 „
5) მაქ. კუპრეიშვილმა „ „ 20 „
6) ვლადიმ. უიფაანმა „ „ 50 „
7) ფილიპე ბებურაძემ „ „ 50 „
8) ბეგლარ ცერცვაძემ „ „ 50 „
9) ექვთიმე ჯაბლაძემ „ „ 20 „
10) ანდრი ძაგანიამ . „ „ 20 „
11) იოსებ კვიმსაძემ . „ „ 20 „
12) კოსტა ქვარიანმა . „ „ 50 „
13) ვასო მურადოვმა . 1 „ — „
14) გიორ. მადალოვმა 1 „ — „
15) ელ. ფანცულაიამ 1 „ — „
16) ი. ლ. ნარეშალაშვილმა 1 „ — „
17) ტ. ბ. გაჩეჩილაძემ „ „ 30 „
18) ივანე ბოლქვაძემ „ „ 30 „
19) სპირ. მაისურაძემ. „ „ 50 „
20) ვასილი ჩუბინიძემ. „ „ 50 „
21) ერ. ნ. თურანგიშვილმა 1 „ — „
22) გრ. დავ. სირიამ 1 „ — „
23) კონსტ. ზაკატუაძემ „ „ 20 „
34) პრაკოფი მელუამ 1 „ — „
25) მიხეილ გახელაძემ „ „ 50 „
26) ნესტორ კიკნაძემ . „ „ 50 „
27) ალექ. რატიევმა . „ „ 25 „
28) ვას. ნიკ. კიტიამ. „ „ 50 „
29) ამბ. ბიჭ. მახარაძემ „ „ 50 „
30) მელ. კიღურაძემ „ „ 30 „
31 ალექ. ბარნაბიშვილმა „ „ 30 „
32) ირაკ თ. ჩოგავაძემ 1 „ — „
33) სარ. ს. კურტანიძემ „ „ 50 „
34) ვ. მიდრიჯანაშვილმა „ „ 40 „
35) მიშა ასილოვმა . „ „ 40 „
36) ნესტორ ჩახავამ . „ „ 50 „
37) კასტორ დადიძემ. „ „ 40 „
38) კალისტ. ჩხეიძემ „ „ 40 „
39) ყარ. პეპ. სურმავამ „ „ 50 „
40) ვასილ ბაქრაძემ . „ „ 50 „
31) მელიტონ ბოკერიამ „ „ 50 „
42) პლატ. ამაშუკელმა „ „ 15 „
43) ილია აგიაშვილმა „ „ 50 „
44) მირზეს აბრამოვმა. „ „ 50 „
45) ივეს. მოს. მაჩიტაძემ „ „ 20 „
46) გრიგორი შაბუროვმა „ „ 50 „
47) მირიმან გოგიევმა 1 „ — „
48) ალექ. გოგიევმა „ „ 50 „
49) ილ. ეგ. დადანიძემ „ „ 50 „
50) ფარნაოზ ლოლიძემ „ „ 20 „
51) ირაკლი მაჩიტაძემ „ „ 50 „
52) ედიდ. კვიმსაძემ „ „ 20 „
53) მ. მილორავას. ასულმა „ „ 20 „
54) ნიკ. მარ. ჯიბუტმა „ „ 40 „
55) პლატონ ლოლაძემ „ „ 20 „
56) სიმონ ლადიძემ. „ „ 50 „
57) ილია ლადიძემ . „ „ 50 „
58) აგანეს აგანესოვმა „ „ 40 „
59) გავრ. გაგავამ. . „ „ 40 „
60) მიხ. კიშიონოვმა „ „ 25 „
61) ევგენი უანჩაველმა „ „ 40 „
62) აგანესა სარქისოვმა „ „ 40 „
63) სტ. შარმაზანოვმა „ „ 25 „
64) რაჟ. შალამბარიძემ „ „ 50 „
65) ბახვა ივ კაჭარავამ „ „ 50 „
66) დიმ. გ. ანჯაფარიძემ „ „ 50 „
67) რ. გ. სოხელიამ . 1 „ — „

შედგენილი ჯამი ფულის 33 მ. 50 კ.

ეს 33 მ. და 50 კა,. გარდაეცა დანიშნულებისამებრ გორის ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო ლეონიდს.

რედაქც.


# განცხადებანი

ტელეფონი 648. **ორთქლით მომუშავე სტამბა ექვთიმე ი. ხელაძისა** ტელეფონი 648.

ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკლ. ახალ შენობაში.

(არსებობს 1873 წლიდამ).

სტამბამ ახლად მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე მბეჭდავი მაშინა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელიდამ (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით.

ასრულებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ედგილობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასად. ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—43)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



**ქეფირი და კუმისი**



ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ დ. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეებთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—43) დ. კორონა.

**подписная цѣна на газету**

# „СВѢТЪ“

## СЪ „СПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ“

**съ пересылкою и доставкою**

**На четверть года:**

съ 1 января по 1 апрѣля
« 1 апрѣля по 1 іюля
« 1 іюля по 1 октября
« 1 октября по 31 декабря ... 2 р.

**На полгода:**

съ января или съ 1 іюля . . . . . . . 4 —

**На девять мѣсяцев:**

съ 1 апрѣля . . . . . . . . . . . 6 —

**На годъ:**

съ 1 января . . . . . . . . . . . 8 —

**На иные сроки подписка не принимается.**

ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на «Приложеніе Романовъ» къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».

**Адресъ Редакціи: спб. Невскій, 138.**

Редакторъ-Издатель **В. В. Комаровъ.**